ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2020	31.12.2019
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	69 398	113 009
სავაჭრო მოთხოვნები	64 939	55 540
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	9 071	44 333
მარაგები	980 683	782 029
- მზა პროდუქცია	980 683	782 029
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	452	3 711
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	9 522	10 147
ძირითადი საშუალებები	1 560 162	1 323 568
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	2 694 227	2 332 337
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	105 144	160 035
ვალდებულებების და ხარჯების აწარიცხები	67	1 452
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	271	
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	80 753	64 190
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 275 379	977 528
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	1 461 613	1 203 205
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო	284 450	284 450
საემისიო შემოსავალი	94 000	
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	854 164	844 682
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	1 232 614	1 129 132
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 694 227	2 332 337

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	31.12.2020	31.12.2019
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
წეტო ამონაგები	2 576 914	2 798 311
საქონლის გაყიდვიდან	2 489 613	2 757 345
მომსახურების გაწევიდან	87 302	40 966
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 805 720)	(1 994 996)
საწყისი მარაგები	(785 740)	(699 833)
მარაგების შესყიდვა	(2 000 663)	(2 080 903)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	980 683	785 740
საერთო მოგება	771 195	803 315
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(339 822)	(359 605)
ცვეთა და ამორტიზაცია	(26 197)	(19 585)
საპროცენტო შემოსავალი:	2 563	3 690
საპროცენტო ხარჯი :	(58 492)	(53 922)
იჯარის ხარჯი	(51 600)	(51 600)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(85 651)	(54 403)
სულ საოპერაციო ხარჯები	(559 200)	(535 425)
საოპერაციო მოგება	211 995	267 890
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(202 512)	(42 257)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე გაწგრძობითი ოპერაციებიდან	9 482	225 633
მოგების გადასახადი		(19 179)
მოგება/(ზარალი)	9 482	206 454
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	9 482	206 454
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 129 132	1 031 362
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	94 000	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(108 684)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 232 614	1 129 132

შპს „ილია ნარაკიძე 777”

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31.12.2020	31.12.2019
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	96 954	234 184
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(258 477)	(797 481)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	117 911	608 420
ფულადი ნაკადების ნეტო ზრდა (კლება)	(43 612)	45 123
საწყისი ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	113 009	67 887
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		
საბოლოო ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	69 398	113 009

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

---

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ილია ნარაკიძე 777“, საიდენტიფიკაციო ნომერი 245594496, დარეგისტრირებულია საქართველოში, 2007 წლის 22 მაისი. კომპანიის იურიდიული მისამართი და ძირითადი საქმიანობის ადგილი არის: საქართველო, ქ.ბათუმი, ა.აბაშიძის ქ.#7ა დ ქ.ბათუმი, ა.აბაშიძის ქ.#17 ,მისი ძირითადი საქმიანობაა: ავტომობილის ნაწილებით, ზეთებით და ფილტრებით ვაჭრობა, ზეთის შეცვლა და სხვა.

საზოგადოების დამუძნებელი დაარსებიდან დღემდე არის: ილია ნარაკიძე პ/ნ 61006010638 – 100% წილის მფლობელი. 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 378450 ლარს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2020 წლისათვის საზოგადოებაში მუშაობდა - 21 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 31.01.2020 წლისათვის კი - 32 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წელს.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

ამონაგების აღიარება

ორგანიზაციაში შემოსავლების აღრიცხვა ხდება არსებული სეგმენტებიდან ელექტრონული პროგრამების მონაცემების მიხედვით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ყოველდღიურად, დარიცხვის მეთოდით. ამონაგები მოიცავს მხოლოდ საზოგადოების მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა (ეს თარიღი შემდგომში გადავადდა 2023 წლამდე).

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, მოგების გადასახადის არა ახალი რეჟიმით დაბეგვრადი ურთიერთდამოკიდებულ პირთან არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. ზემოდ აღწერილი გარემოებებით მსს ფასს სტანდარტზე გადასვლას არ გამოუწვევია ფინანსური ანგარიშგების შესადარის მაჩვენებლებში ცვლილებები. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

• შენობები და ნაგებობები	20 - 40 წელი
• მანქანა დანადგარები	5 - 10 წელი
• ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 10 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5 - 10 წელი
• სხვა ძირითადი საშუალებები	5 - 10 წელი

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებების ბალანსიდან მოხსნა ხდება, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება

შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. მეიჯარე საწარმო იჯარისას პრაქტიკულად არ გადასცემს ყველა რისკს და სარგებელს საკუთრების გადაცემის უფლებასთან დაკავშირებით. მოიჯარის მიერ, სრული საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგება-ზარალში წრფივი დარიცხვის მეთოდით მთელი საიჯარო პერიოდის მანძილზე, ხოლო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში და მიეკუთვნება ძირითადი საშუალებიდან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

იჯარა არის შეუქცევადი, რომლის დროსაც მოიჯარე დაკავშირებულია აქტივის ფლობასთან და მომავალ პირობებთან, რომლის მიხედვითაც მოიჯარეს აქვს შესაძლებლობა გააგრძელოს იჯარის ხანგრძლივობა მომავალი გადასახდელების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, როდესაც იჯარის დაწყებისას მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ ვარიანტს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - MIDL მეთოდი (საშ.შეწონილი). სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულია რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება (მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით); 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატიანი თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხავა ტრეინინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულია მის უშუალო ხელმძღავნელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან.

შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც გამოიყენება შეცდომით გამოწვეული უზუსტობების აღმოსაჩენად, პრევენციისა და მათ შესამცირებლად, არის შემდეგი:

1) სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;

2) რეალიზაციის შემთხვევაში ფასი განისაზღვრება კონკრეტული საქონლის მიხედვით, რომელიც უთანხდება ფინანსურ მენეჯერს და დირექტორს;

3) ფინანსური მენეჯერის მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ. თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება; მაღალი ფასით პროდუქციის შეძენის შემთხვევების გადამოწმება საკონტროლო შესყიდვებით ან ბაზრის წინასწარი შესწავლის გზით;

4) მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;

5) დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი;

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორ(ებ)ისათვის მოგების მიცემა.

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლ(ებ)ის გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის მოხდენის თარიღისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება–ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
ლარი/აშშ დოლარი	3,2766	2,8677
ლარი/ ევრო	4.0233	3.2095
ლარი/თურქული ლირა	0.4462	0.4821

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. იგი წარმოადგენს

ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი

მიღწევის გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ. კონტროლი - გეგმის ფაქტობრივად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტობრივი ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას.

შეფასება - გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით, ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. გაირკვეს, რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი - დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

4. არსებითი ფინანსური ანგარიშგებები (მოცემულია ლარში)

4.1 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

შინაარსი	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
ფულადი სახსრები სალაროში	1 956	47713
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	67442	65 296
სულ:	69 398	113 009

4.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შინაარსი	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	64 939	55 540
გადახდილი ავანსები	9 071	3 521
საგადასახადო აქტივი	0	2 121
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	0	35 000
მისაღები პროცენტები	0	3691
სხვა მიმდინარე აქტივები	452	0
სულ:	74 462	125 211

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

შინაარსი	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
საქონელი	980 683	782 029
სხვა სასაქონლო მატერ.მარაგები	0	3 711
სულ:	980 683	699 833

4.4 ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
	შემენის ღირებულება				
1	მიწა	677 521			677 521
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	0	177 973	372 684	194 711
3	შენობა-ნაგებობა	848 577	377 385		471 192
4	მანქანა-დანადგარები	136 502	63 247		73 255
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	41 555	16247,13		25 308
	ჯამი	1 704 155		0	1 441 987

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2019
	ცვეთა				
1	მიწა	0			0
2	შენობა-ნაგებობა	91 901	15 399		76 502
3	მანქანა-დანადგარები	40 881	7 275		33 606
5	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	11 211	2 899		8 312
	ჯამი	143 993	25 573	0	118 420

	საბალანსო ღირებულება	1 560 162			1 323 567

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
	შეძენის ღირებულება				
1	ლიცენზიები				
2	პროგრამები				
3	სხვა არამატერიალური აქტივები	12 785			12 785
	ჯამი	12 785	0	0	12 785

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.2019	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2018
	ცვეთა				
1	ლიცენზიები				
2	პროგრამები				
3	სხვა არამატერიალური აქტივები	3 263	625		2 638
	ჯამი	3 263		0	2 638
	საბალანსო ღირებულება	9 522		0	10 147

4.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
ვალდებულებები შეძენილი საქონლიდან და მომსახურებიდან	105 144	160 035
გადასახდელი საპენსიო შენატანი	67	1 452
გადასახდელი ხელფასები	0	0
სულ:	105 211	161 487

4.6 საგადასახადო და სხვა ვალდებულებები

შინაარსი	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
საგადასახადო ვალდებულებები	271	0
სხვა ვალდებულებები (გადახდილი ავანსზე	0	0
სულ:	271	0

4.7 კაპიტალის სტრუქტურა და ცვლილება

შინაარსი	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
დამფუძნებლის (საწესდებო) კაპიტალი	378 450	284 450
გაუნაწილებელი (დაგროვებული) მოგება	854 164	844 682
სულ:	1 232 614	1 129 132

4.8 ამონაგები

საოპერაციო შემოსავლები

შემოსავლები	2020 წელი	2019 წელი
საქონლის რეალიზაცია	2 489 613	2 757 345
შემოსავლები იჯარიდან	8 856	9 661
სხვა შემოსავლები (მომსახურებიდან)	78 445	31 305
სულ:	2 576 914	2 798 311

არასაოპერაციო შემოსავლები

შემოსავლები	2020 წელი	2019 წელი
ვალუტის გადაფასებით მიღებული შემოსავალი	6 987	10 846
საპროცენტო შემოსავალი	2 563	3691
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	38 468	13 677
სულ:	48 018	28 214

4.9 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

შინაარსი	2020 წელი	2019 წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1 805 720	1 994 996
სულ:	1 805 720	1 994 996

4.10 ხარჯები

1. საოპერაციო ხარჯები

დანახარჯები	2020 წელი	2019 წელი
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	339 822	359 605
საბანკო მომსახურება	11 483	9 797
იჯარის ხარჯი	51 600	51 600
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	7 776	5 251
ტრანსპორტირების ხარჯები	1 104	2 306
რეკლამის ხარჯი	18 351	11 865
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	7 462	7 831
ცვეთა და ამორტიზაცია	26 197	19 585
საექსპლოატაციო ხარჯები	22 430	1 309
საკანცელარიო ხარჯი	4 094	4 039
დაცვის მომსახურება	1 372	1 392
საპენსიო დანარიცხები	8 379	7 981
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3 200	2 633
სულ ხარჯები:	503 270	485 194

2. არასაოპერაციო ხარჯები

დანახარჯები	2020 წელი	2019 წელი
საპროცენტო ხარჯი	58 492	53 922
მოგების გადასახადი	0	19 179
ვალუტის გადაფასებით მიღებული ხარჯი	247 856	66 283
სხვა არასაოპერაციო ხარი	112	497
სულ ხარჯები:	306 460	139 881

4.11 მოგება განაწილებამდე

შედეგი	**2020 წელი**
სულ შემოსულობა	2 624 932
სულ ხარჯები	(2 615 450)
სულ მოგება:	**9 482**

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.